სსიპ ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

24 / აგვისტო / 2023 წ.

KA020176509060623

№ **62-ს**

ბრძანება

ინოვაციების საზოგადოების განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 5 მარტის № 1-1/66 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ინოვაციების საზოგადოების განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებების შესარჩევი კონკურსი. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იმ იურიდიულ პირებს, რომელთა ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ადგილობრივი ინოვაციების საზოგადოების გაძლიერება და მხარდამჭერი აქტივობების განხორციელება.

2. საკონკურსო აპლიკაციების მიღება განხორციელდეს 2023 წლის 25 აგვისტოდან 4 სექტემბრის ჩათვლით, სააგენტოს ელექტრონული პორტალის grants.gov.ge მეშვეობით.

3. შესარჩევი კომისიის წინაშე აპლიკაციების პრეზეტნაციები განხორციელდეს 2023 წლის 5 სექტემბერიდან 8 სექტემბერის ჩათვლით, ხოლო გამარჯვებულთა გამოვლენა მოხდეს 2023 წლის 12 სექტემბერს.

4. გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით დამტკიცდეს კომისია, შემდეგი შემადგენლობით:

თორნიკე ჯობავა - კომისიის წევრი, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე;
სალომე მაჭარაშვილი - კომისიის წევრი, საქართველოს ინოვაციების და ტექნოგიების სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგის და კომუნიკაციის ხელმძღვანელი;
სალომე ნაფეტვარიძე - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ინოვაციების საზოგადოების განვითარების დეპარტამენტის უფროსი;

5. კომისიის მიერ კონკურსის მონაწილეთა შეფასება განხორციელდეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

კრიტერიუმი	ქულა
გუნდი	15
მდგრადობა	15
მთავარი მახასიათებლები	30
თანხის მიზნობრიობა	20
აქტივობების ცხრილი	10
სტარტაპების წარმოჩენა და საინვესტიციო შესაძლებლობების შექმნა	10

6. კონკურსის გამარჯვებულად გამოცხადდეს ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმებისა და ქულების შესაბამისად, ყველაზე მაღალი შეფასების მქონე მონაწილე.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მის: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. #2) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: თბილისი. დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #6

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან დარსალია